



ბიზნესის სკოლის MBA OM სამაგისტრო პროგრამის საგნების ანოტაციები

პირითადი საგნები	არჩევითი საგნები
ეფექტური კომუნიკაცია	ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები
ფინანსური მათემატიკა	საფინანსო ინსტიტუტები და ბაზრები
მოდელირება Excel-ში	ფინანსური ანგარიშგება
ეკონომიკა	სერვისის მარკეტინგი
ფინანსური აღრიცხვა	მართვის ინფორმაციული სისტემები
მენეჯმენტი	მარკეტინგული კვლევა
მარკეტინგი	ქცევითი ეკონომიკა
მონაცემთა ანალიზი	ბიზნესის შეფასება
ფინანსები	ახალი პროდუქტის განვითარება
მენეჯერული აღრიცხვა	მიწოდების ჯაჭვის მართვა
ტექნოლოგიები - გადაწყვეტილებების მიღება	
ბიუჯეტირება	სადიპლომო პროექტი
ტექნოლოგიების მართვა	MBA OM სადიპლომო პროექტი
ტექნოლოგიები - სიმულაცია და რისკების ანალიზი	
სტრატეგიული მენეჯმენტი	
სერვისის მენეჯმენტი	
წარმოების მენეჯმენტი	
ცვლილებების მართვა	
პროექტების მართვა	
ადამიანური რესურსების მართვა	
ხარისხის მართვა	

ეფექტური კომუნიკაცია

პრერეკვიზიტი: არ აქვს

სასწავლო კურსით გათვალისწინებულია მონაწილეთა სოციალურ – ფსიქოლოგიური უნარ ჩვევების განვითარება ეფექტური ბიზნეს კომუნიკაციის წარმართვის და გუნდური მუშაობის ხელშეწყობის მიზნით. კურსს საფუძვლად უდევს კომუნიკაციის თეორიული პრობლემატიკის შესწავლა და შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევების შემუშავება-განვითარება და გუნდური მუშაობის პრინციპების გაცნობიერება. სტუდენტები გაეცნობიან კომუნიკაციის საფუძვლებს და კანონზომიერებს, ორგანიზაციებში არსებულ კომუნიკაციურ არხებს, პიროვნებათაშორისი და გუნდური ურთიერთობების თავისებურებებს. გრენინგზე განხილული ყველა თეორიული საკითხზე შემუშავებულია პრაქტიკული აქტივობა.

გრენინგს უძღვება ლექტორი, რომელიც კონკრეტული თემების სწავლებასთან ერთად უზრუნველყოფს ჯგუფის დინამიკის სწორად წარმართვას. გრენინგის მეთოდიკა მოიცავს შემდეგ აქტივობებს: თეორიული პრეზენტაცია, ჯგუფური დისკუსია, გვინის შტურმი, სიგუაციის მოდელირება, მუშაობა მცირე ჯგუფებში, როლური თამაშები, სიმულაცია, გრენინგებისა და ჯგუფის წევრების უკუკავშირი.

ფინანსური მათემატიკა

პრერეკვიზიტი: არ აქვს

კურსი წარმოადგენს შესავალს უმაღლეს მათემატიკასა და ფინანსურ მათემატიკაში. კურსის განმავლობაში მსმენელები შეისწავლიან იმ მათემატიკურ ინსტრუმენტებს და მეთოდებს, რომლებიც ფართოდ გამოიყენება თანამედროვე ბიზნესში, და რომლებიც არის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრატურის საგნების კარგად ათვისების წინაპირობა.

მოდელირება Excel-ში

პრერეკვიზიტი: არ აქვს

კურსი შეასწავლის სტუდენტებს Microsoft Excel-თან მუშაობის და მოდელირების უნარ-ჩვევებს მისადაგებულს ბიზნეს-ამოცანებისათვის. „მოდელირება Excel-ში“ წარმოადგენს რეალურ სიგუაციებში მათემატიკური მოდელის შედგენისას ელექტრონული ცხრილების ძირითადი ფუნქციების გამოყენების, პროგრამის შესაძლებლობათა შემსწავლელ კურსს.

ეკონომიკა

პრერეკვიზიტი: არ აქვს

ამ კურსში განიხილება ეკონომიკური თეორიის მთავარი პრინციპები და იდეები, რომლების ცოდნა სოციალურ-ეკონომიკური პროცესების გაგებისთვის აუცილებელია. თეორიული მასალა ადაპტირებულია თანამედროვე გარემოს ცვლილებებისადმი და არის ილუსტრირებული კონკრეტული ქეისებით საქართველოს და საერთაშორისო ეკონომიკური პრაქტიკიდან.

ფინანსური აღრიცხვა

პრერეკვიზიტი: არ აქვს

ფინანსური აღრიცხვის კურსში ისწავლება ბიზნესის ფინანსური ინფორმაციის მომზადების წესები, მეთოდები და მიდგომები ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში ფასს) მიხედვით. ფინანსური ინფორმაცია მზადდება ბალანსის, მოგება-ზარალის, ფულის მოძრაობის

ანგარიშგებების სახით. ამ ინფორმაციას სხვადასხვა სახის მომხმარებლები ჰყავს, თუმცა ძირითად მომხმარებლებს წარმოადგენენ საინვესტიციო და საკრედიტო გადაწყვეტილებების მიმღები პირები. ამ კურსში ისწავლება სრული პროცესი დაწყებული გრანზაქციების, (ფინანსური ინფორმაციის ერთეული) რეგისტრაციიდან, ფინანსური ანგარიშგების შემადგენელი ყველა ღონისძიების მომზადებამდე ფასს-ის მიხედვით. აღრიცხვის ტექნიკებისა და მეთოდების ცოდნა მნიშვნელოვანია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაციის პროფესიული წაკითხვისთვის.

მენეჯმენტი

პრერეკვიზიტი: არ აქვს

თანამედროვე ორგანიზაციის ერთ-ერთ კონკურენტულ უპირატესობას წარმოადგენს სწორად შერჩეული ადამიანური რესურსები. ამასთან, მნიშვნელოვანია ორგანიზაციის ისეთი მართვა, რომ მისი მიზნები თანხვედრაში მოვიდეს პერსონალის ინდივიდუალურ ინტერესებთან. კონკურენტის გამძაფრება და კაგაკლიმები ბიზნესში უბიძგებს მენეჯერებს ინოვაციური მართვისკენ. კურსის განმავლობაში მაგისტრანტები შეისწავლიან მენეჯერების ძირითად საქმიანობას და გაეცნობიან, თუ რა ფუნქციებს ასრულებენ ისინი და როგორ პასუხობენ ისინი გარემოს გამოწვევებს.

მარკეტინგი

პრერეკვიზიტი: არ აქვს

მარკეტინგ მენეჯმენტი ბიზნესის დისციპლინებს შორის უმნიშვნელოვანესი საგანია. მარკეტინგ მენეჯმენტის კურსი ორიენტირებულია იმაზე, რომ მაგისტრანტებმა შეძლონ კრიტიკული მარკეტინგული გადაწყვეტილებების მიღება ფაქტების ანალიზისა და დაშვებების საფუძველზე. სტუდენტებმა უნდა გაითავისონ, რომ მარკეტინგული გადაწყვეტილებები ორიენტირებული უნდა იქნას მომხმარებლის მაქსიმალურ დაკმაყოფილებაზე, რაც უზრუნველყოფს ბიზნესის კონკურენტულ უპირატესობას.

მონაცემთა ანალიზი

პრერეკვიზიტი: არ აქვს

მენეჯერს თავის საქმიანობაში ხშირად უხდება განუმდგროვლობის პირობებში გადაწყვეტილების მიღება, რაც მოითხოვს მათემატიკური სტატისტიკის მეთოდების გარკვეული სპექტრის ცოდნას. ლექციათა კურსში ძირითადი ყურადღება მათემატიკური სტატისტიკის გამოყენებით ასპექტებს ეთმობა. ლექციათა კურსი პირობითად შეიძლება დაიყოს სამ ნაწილად:

1. აღწერითი სტატისტიკა;
2. ალბათობის თეორია;
3. სტატისტიკური დასკვნების თეორია.

აღწერითი სტატისტიკა ეხება მონაცემთა კლასიფიკაციისა და პირველადი დამუშავების მეთოდებს. მათემატიკური სტატისტიკის მეთოდები ფაქტობრივად ალბათობის თეორიაზეა დაფუძნებული. ალბათობის თეორია წარმოადგენს ხილს აღწერითი სტატისტიკისა და სტატისტიკური დასკვნების თეორიის მეთოდებს შორის, გვაძლევს რა საშუალებას გავიაზროთ, თუ როგორ იქმნება და გამოიყენება სტატისტიკური მოდელები. ლექციათა კურსში ფართოდ გამოიყენება ნახაზები და გრაფიკები, რაც ემსახურება თეორიული მასალის გააზრებას და აღვილად ათვისებას.

დიდი მოცულობის სტატისტიკური მონაცემების დამუშავება წარმოუდგენელია საოფისე პროგრამული უზრუნველყოფის გარეშე. ამ მიზნით გამოყენებულია Microsoft Excel-ის დანამატი პროგრამა Data Analysis ToolPak.

ფინანსები

პრერეკვიზიტი: ფინანსური აღრიცხვა

კურსი წარმოადგენს ერთგვარ შესავალს ფინანსების მართვის სამყაროში. მსმენელი გაეცნობა ფინანსების ენას, ფინანსური გადაწყვეტილებების მიღების მეთოდებს, რომელთა ცოდნაც აუცილებელია ფინანსების თვალსაზრისით ბიზნესის სამყაროში.

მენეჯერული აღრიცხვა

პრერეკვიზიტი: ფინანსური აღრიცხვა

მენეჯერული აღრიცხვა წარმოადგენს სააღრიცხვო სისტემას, რომელიც ახალიზებს ფინანსური აღრიცხვიდან, ხარჯთაღრიცხვიდან, ბიუჯეტირების პროცესიდან და გადახრების ანალიზიდან მიღებულ ინფორმაციას და უზრუნველყოფს მენეჯმენტს ორგანიზაციის ტაქტიკური თუ სტრატეგიული გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო სააღრიცხვო ინფორმაციით.

ოპერაციათა კვლევა – გადაწყვეტილებების მიღება

პრერეკვიზიტი: არ აქვს

თანამედროვე ბიზნეს-გარემოში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სწორი გადაწყვეტილებების მიღებას. ამასთან, გადაწყვეტილება უნდა იყოს სწრაფი. გექნიკური პროგრესი საშუალებას იძლევა ბიზნესში გადაწყვეტილებების მიღების მხარდაჭერისთვის ჩატარდეს მონაცემთა ანალიზი და მოხდეს მოდელირება კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით. კურსი მოიცავს ბიზნესში წარმოშობილი მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტილებისათვის საჭირო კლასიკურ და თანამედროვე რაოდენობრივ მეთოდებსა და გექნიკებს. ყურადღება ექცევა კომპიუტერის გამოყენებასა და პრაქტიკულ პრობლემებს.

ბიუჯეტირება

პრერეკვიზიტი: მენეჯერული აღრიცხვა

ბიუჯეტირება ფინანსური აღრიცხვიდან, ხარჯთაღრიცხვიდან და გადახრების ანალიზიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეიმუშავებს ისეთ დოკუმენტებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მენეჯმენტს დეტალური ფინანსური თუ არაფინანსური მონაცემებით ორგანიზაციის სამოქმედო გეგმისა და საბოლოო შედეგების შესახებ.

ოპერაციების მართვა

პრერეკვიზიტი: არ აქვს

ოპერაციების მენეჯმენტი შეისწავლის ოპერაციებს მომსახურების და საწარმოო ორგანიზაციებში. ეს არის კრიტიკული ფუნქცია, რომლის კოორდინირება უნდა ხდებოდეს მარკეტინგთან, ფინანსებთან, ადამიანურ რესურსებთან და სხვა ფუნქციებთან, რათა მიღწეულ იქნას ბიზნესის სტრატეგიის მიზნები. ოპერაციების მენეჯერებმა უნდა ეფექტურად და რაციონალურად შექმნან და მიაწოდონ მომხმარებელს ნაწარმი და მომსახურება, და იმავდროულად დააბალანსონ კონფლიქტური მოთხოვნები. ოპერაციების ფუნქციის როლის და ფირმის კონკურენტუნარიანობაზე მისი გავლენის გაგება წარმოადგენს მენეჯერის მომზადების მნიშვნელოვან ნაწილს. ოპერაციულ საკითხებს მიეკუთვნება შენობა-ნაგებობების და პროცესების დიზაინი, შექმნა, წარმართვა და შენახვა; ნედლეულის შესყიდვა; ხარისხის უზრუნველყოფა; ვერტიკალური ინტეგრაცია; პროექტების მართვა; კონტროლი და მარაგების მართვა;

სათანადო ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფა, რათა იწარმოოს ისეთი საქონელი ან მომსახურება, რომელიც დააკმაყოფილებს მომხმარებლის მოლოდინს.

ოპერაციათა კვლევა – სიმულაცია და რისკების ანალიზი

პრერეკვიზიტი: მოდელირება Excel-ში, მონაცემთა ანალიზი

კურსი მოიცავს რისკების ანალიზისათვის რაოდენობრივი მეთოდების შესწავლას, კომპიუტერული სიმულაციებისა და ამ ალგორითმების პრაქტიკულ რეალიზაციას (MS Excel-ის გარემოში და სიმულაციური პროგრამების უფასო სადემონსტრაციო ვერსიების გამოყენებით) და ამის საფუძველზე საუკეთესო გადაწყვეტილების მიღების გეგმიკებს.

სტრატეგიული მენეჯმენტი

პრერეკვიზიტი: არ აქვს

კურსის მიზანია სტრატეგიებს ასწავლოს ანალიზი, რომელიც გამოყენებულ იქნება წარმატებული ბიზნესების სტრატეგიების ღრმად დასანახად, მომგებიანი და რიგ შემთხვევებში – მდგრადი კონკურენტული პოზიციების შესაქმნელად. აღნიშნული ჩარჩოს ძირითადი ნაწილებია:

1. კომპანიის რესურსებისა და შესაძლებლობების შიდა ანალიზი
2. გარე / ინდუსტრიის ანალიზი
3. თამაშების თეორია

სერვისის მენეჯმენტი

პრერეკვიზიტი: მონაცემთა ანალიზი, ოპერაციების მართვა

ეს საგანი განიხილავს ძირითად კონცეფციებს, პრინციპებს და პრობლემებს, რომლებიც გვხვდება მომსახურების სფეროში. ასევე განიხილავს მომსახურების კომპანიის წარმატების პოტენციურ განზომილებებს. განიხილება მომსახურების ინდუსტრიისთვის დამახასიათებელი და მნიშვნელოვანი როგორც გეგმიკური, ისე მენეჯერული ასპექტები. სტრატეგიები გაიგებენ, როგორ გავლენას ახდენს სრულყოფილი მომსახურება ღირებულების შექმნის ყველა სეგმენტზე.

წარმოების მენეჯმენტი

პრერეკვიზიტი: მონაცემთა ანალიზი, ოპერაციების მართვა

ეს საგანი განიხილავს ძირითად კონცეფციებს, პრინციპებს და პრობლემებს, რომლებიც გვხვდება წარმოების სფეროში. ასევე განიხილავს წარმოების კომპანიის წარმატების პოტენციურ განზომილებებს. განიხილება წარმოების ინდუსტრიისთვის დამახასიათებელი და მნიშვნელოვანი როგორც გეგმიკური, ისე მენეჯერული ასპექტები. სტრატეგიები გაიგებენ, თუ როგორ გავლენას ახდენს სრულყოფილი წარმოება ღირებულების შექმნის ყველა სეგმენტზე.

ცვლილებების მართვა

პრერეკვიზიტი: არ აქვს

კურსში განხილული და გაანალიზებულია თანამედროვე საქმიან ორგანიზაციაში ცვლილებების განხორციელების აქტუალური საკითხები და მიდგომები. ყურადღება გამახვილებულია ორ მიდგომაზე: ორგანიზაციების ეფექტიანობის გაზომვის გარდაქმნასა და ბიზნესის რეინჟინირინგზე.

პროექტების მართვა

პრერეკვიზიტი: არ აქვს

პროექტის მენეჯმენტი უკანასკნელ წლებში ერთი, რიგითი მიმზიდველი მიდგომიდან, რომლის გამოყენებაც შეეძლოთ ორგანიზაციებს, იქცა უმნიშვნელოვანეს ბიზნეს პროცესად, რომელიც აუცილებელია ორგანიზაციის წარმატებული საქმიანობისათვის. დრამატულად ცვალებადი გარემო და მძაფრი კონკურენცია აიძულებს ორგანიზაციებს სწრაფად მოერგონ ცვლილებებს და დახვეწონ მართვის სისტემები. პროექტის მენეჯმენტი სწორედ ამ მიზნების მიღწევაში ეხმარება მათ. კურსი ეფუძნება ამ სფეროში ყველაზე ავტორიტეტული ორგანიზაციის, პროექტების მართვის ინსტიტუტის (Project Management Institute), მიერ შემუშავებულ მეთოდოლოგიას, მოიცავს დისციპლინაში შემავალ ძირითად სფეროებს და მიზნად ისახავს სტუდენტებისთვის პროექტის მენეჯმენტის პრინციპების, მეთოდებისა და ტექნიკების შესწავლას.

ადამიანური რესურსების მართვა

პრერეკვიზიტი: მენეჯმენტი

ეს საგანი განიხილავს ძირითად სტრატეგიებს, გადაწყვეტილებებს, მიდგომებს და პრობლემებს ადამიანებისა და ადამიანური კაპიტალის მართვაში. კურსი ასევე განიხილავს ბიზნესის სტრატეგიასა და ადამიანური კაპიტალის მართვის შესაბამის გადაწყვეტილებებს; მენეჯერული გადაწყვეტილების ტექნიკურ და ადამიანურ ფაქტორებს, გუნდის შექმნის, შეკვრის და შენარჩუნების გამოწვევებს; ორგანიზაციული კულტურის გავლენას შედეგებსა და წარმატებული კომპანიის შექმნაზე, სტუდენტები გაიგებენ, რა გავლენას ახდენს ადამიანური კაპიტალის მართვა კომპანიის მოკლე და გრძელვადიან წარმატებაზე.

ხარისხის მართვა

პრერეკვიზიტი: არ აქვს

ერთიანი ხარისხის მენეჯმენტი შეისწავლის ხარისხის მართვის სისტემებს და მექანიზმებს ორგანიზაციაში. ხარისხი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გასათვალისწინებელი ფაქტორია გლობალურ ბაზარზე შესაღწევად, ხარისხის მნიშვნელობის შეგნება და მისი დანერგვა/შენარჩუნებისადმი ერთგულება უმაღლესი მენეჯმენტის მიერ, ეფექტური გუნდური მუშაობა და ნათლად გამოკვეთილი ლიდერების არსებობა კომპანიაში წარმატების განმპირობებელი ფაქტორია. ხარისხის მართვის მეთოდოლოგიების ცოდნა, მათი მიზანმიმართული გამოყენების ჩვევები წარმოადგენს ხარისხის მენეჯერების მომზადების საფუძველს, ერთიანი ხარისხის მართვის საკითხებს მიეკუთვნება ხარისხის დაგეგმვა, ხარისხის სისტემის დიზაინის შემუშავება, ხარისხის აუდიტი და თვითშეფასება, ხარისხის გაუმჯობესების ტექნიკის და ინსტრუმენტების გამოყენება პრაქტიკაში.

ფინანსური ანგარიშგება

პრერეკვიზიტი: ფინანსური აღრიცხვა

ფინანსური ანგარიშგების კურსში ისწავლება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) მიხედვით ფინანსური ინფორმაციის მომზადების წესები, მეთოდები და ძირითადი მიდგომები. მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა ძირითად ფინანსურ დოკუმენტებში, ბალანსში,

მოგება-ზარალისა და ფულისა და კაპიტალის ცვლილებათა ანგარიშგებებში წარმოდგენილი ინფორმაციის წაკითხვის, ანალიზის და ინტერპრეტირების უნარის გამომუშავებას.

სერვისის მარკეტინგი

პრერეკვიზიტი: მარკეტინგი

ამ კურსის უპირველესი მიზანია დაგეხმაროთ იმუშაოთ ეფექტიანად, როგორც მარკეტინგის მენეჯერმა სერვისის კომპანიაში. სერვისის სფეროს ობიექტების მარკეტინგის მენეჯმენტი, გამომდინარე მისი თავისებურებებიდან (არამატერიალურობა, მალფუჭადობა და ა.შ) მნიშვნელოვნად განსხვავდება მწარმოებელი კომპანიების მარკეტინგისგან, რაც ასახავს პოვნებს მარკეტინგის სტრატეგიის შემუშავებაში და განხორციელებაში.

ქეისების, სიგუაციების ანალიზის და დისკუსიების საშუალებით ჩვენ შევეცდებით გადავჭრათ მარკეტინგული პრობლემები სერვისის სექტორში მომუშავე კომპანიებში. ეს კურსი ითვალისწინებს იმას, რომ მხოლოდ სწორი მარკეტინგის შემთხვევაში არის შესაძლებელი კომპანიაში შემოსავლების ზრდა.

მართვის ინფორმაციული სისტემები

პრერეკვიზიტი: არ აქვს

საინფორმაციო სისტემების უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ თანამედროვე ორგანიზაციის განვითარებაში. შესაბამისად, სასიცოცხლოდ აუცილებელი ხდება, ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების სისწრაფესთან ერთად, თანამედროვე მენეჯერებს ჰქონდეთ ახალი შესაძლებლობების დანახვის უნარი. მართვის საინფორმაციო სისტემები არის ფორმალური დისციპლინა ბიზნეს-განათლების დარგში, რომელიც აკავშირებს საინფორმაციო ტექნოლოგიებს დაფინანსების, მარკეტინგისა და მენეჯმენტის დისციპლინებს. ამ კურსის მეშვეობით სტუდენტები შეისწავლიან ინფორმაციული სისტემების ბიზნეს დარგში გამოყენების ძირითად მეთოდებს, წარმატებულ მაგალითებს, გაეცნობიან სხვადასხვა სისტემების კლასიფიკაციას, ორგანიზაციებში სისტემების დანერგვის მეთოდოლოგიას და აგრეთვე იმ ძირითად რისკებს რომლებიც თან სდევს საინფორმაციო სისტემების გამოყენებას და შეისწავლიან მათზე რეაგირების მექანიზმებს. კურსი მოიცავს ორგანიზაციებში საინფორმაციო სისტემების გამოყენების შესახებ ძირითად ინფორმაციას.

მარკეტინგული კვლევა

პრერეკვიზიტი: არ აქვს

კურსი მიმოიხილავს კვლევის რაოდენობრივ და თვისებრივ მეთოდებს, მათ პრაქტიკულ გამოყენებას ბიზნეს ამოცანების გადასაჭრელად.

კვლევის მეთოდებისა და მიდგომების ცოდნის საფუძველზე, სტუდენტები შეძლებენ მართებულად განსაზღვრონ კვლევის საჭიროება კონკრეტული ამოცანების გადასაჭრელად, დასახონ კვლევის ადეკვატური ამოცანები, შეიმუშაონ სტრატეგია და ეფექტურად გამოიყენონ კვლევის შედეგები.

კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან:

- რაოდენობრივი კვლევის სხვადასხვა ტექნიკებს – პირისპირ ინტერვიუს, სატელეფონო და ონლაინ კვლევებს, შერჩევის ძირითად პრინციპებს, მონაცემების მოპოვების, დამუშავების, ანალიზისა და ანგარიშის მომზადების ხერხებს.
- თვისებრივი კვლევის მეთოდების სხვადასხვა ტექნიკებს – ფოკუსჯგუფს, სიღრმისეულ ინტერვიუს, მათი გამოყენების პირობებს, მონაცემების დამუშავებისა და ანგარიშის მომზადების ხერხებს.

კურსის ფარგლებში სტუდენტები გაეცნობიან საქართველოში სხვადასხვა კომპანიის მიერ განხორციელებულ მარკეტინგულ კვლევებს, გაარჩევენ მათი საჭიროებებსა და ეფექტიანობას. თავისივე საჭიროებებიდან გამომდინარე კურსის ფარგლებში დაგეგმავენ და განახორციელებენ ერთ მინი კვლევას.

ქცევითი ეკონომიკა

პრერეკვიზიტი: ეკონომიკა

ეს კურსი წარმოადგენს შესავალს ქცევით ეკონომიკაში: ესაა მცდელობა ფსიქოლოგიური საკითხების ჩართვისა ეკონომიკურ ანალიზში. ქცევითი ეკონომიკა შედარებით ახალი სფეროა, მაგრამ მან უკვე დიდი ზეგავლენა იქონია ფინანსებზე, მარკეტინგზე, მენეჯმენტზე, ინდუსტრიულ ორგანიზაციაზე, ფსიქოლოგიაზე, პოლიტიკურ მეცნიერებაზე და ფილოსოფიაზე.

ქცევით ეკონომიკა შეუფასებელია მათთვის, ვისაც ინტერესი გააჩნია ადამიანის ქცევის შესწავლის საკითხებში. კერძოდ, მათთვის ვისაც ინტერესი აქვს ეკონომიკაში, მენეჯმენტში, მარკეტინგში, საზოგადოებრივ პოლიტიკაში, და გადაწყვეტილების მიღების შეფასებაში.

ბიზნესის შეფასება

პრერეკვიზიტი: მენეჯერული აღრიცხვა

კომპანიის შეფასების კურსი მოიცავს ლექციებს და სემინარებს კომპანიის კაპიტალის ღირებულების დადგენის მეთოდებსა და გექნოლოგიებზე. კურსი გვასწავლის როგორ შევაფასოთ კერძო (არასაჯარო) კომპანიის ღირებულება და რამდენად სწორად აფასებს ფინანსური ბაზარი საჯარო კომპანიებს.

საფინანსო ინსტიტუტები და ბაზრები

პრერეკვიზიტი: ეკონომიკა

ამ კურსში აღწერილია ფინანსური ბაზრების და ინსტიტუტების მუშაობის პრინციპები. ფინანსური ბაზრები და ინსტიტუტები ასახავენ არა მხოლოდ ჩვენი ცხოვრების ყოველდღიურობას არამედ წარმოადგენს ფინანსური რესურსების მიწოდების საშუალებას მთელი ეკონომიკისთვის, რაც თავის მხრივ ზემოქმედებს ბიზნესის მომგებიანობაზე, საქონლის და მომსახურების წარმოებაზე, და ეკონომიკურ კეთილდღეობაზე.

ახალი პროდუქტის განვითარება

პრერეკვიზიტი: არ აქვს

ახალი პროდუქტების განვითარება – ისე არასდროს, როგორც დღევანდელ დღეს, დიგიტალიზაცია ანუ სამყაროს ციფრულ საწყისებზე გადაწყობა ცვლის ადამიანის და მის საქმიანობას. ამ პროცესში იცვლება ბიზნესიც და წარმოშობს ახალ შესაძლებლობებს. ერთის მხრივ წარმოიშვება მეტი კომფორტის მომხმარებლისთვის, მეორე მხრივ იქმნება სრულიად ახალ ბაზრები, სფეროები და შემოსავლის ახალი წყაროები. ახალი პროდუქტების განვითარება ისეთი სახით რომლთაც დღევანდელ დღეს ინოვაციური პროცესი და სტარტაპების წარმოშობა მიმდინარეობს, ერთი დასრულებული საგნის ან სახელმძღვანელოს სახით არ არსებობს. ჩვენი კურსიც ძირითადად სამ ძირითად მიდგომას და სფეროს ეფუძნება, რომელიც ყველაზე ფართოდ გამოიყენება პრაქტიკაში და ყველზე ხშირად გვთავაზობს გზას წარმატებული პროდუქტის შესაქმნელად.

ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები

პრერეკვიზიტი: მარკეტინგი

ეს კურსი მოიცავს მარკეტინგული კომუნიკაციების ისეთი ელემენტების თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს როგორცაა რეკლამა, პირდაპირი მარკეტინგი, გაყიდვის სტიმულირება, საზოგადოებასთან ურთიერთობა, სოციალური მედია მარკეტინგი და პერსონალური გაყიდვა. ამ კურსის გავლის

შემდეგ თქვენ შეგეძლებათ გამოიკვლიოთ და შეაფასოთ კომპანიის მარკეტინგული და მომხმარებელთა სტიმულირების პოლიტიკა და შეიმუშაოთ ეფექტიანი და ეფექტური მარკეტინგული კომუნიკაციების სტრატეგიები და პროგრამები.

მიწოდების ჯაჭვის მართვა

პრერეკვიზიტი: ოპერაციების მართვა

კურსი მოიცავს მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტის, როგორც ყველაზე ძველი და ასევე საკმაოდ თანამედროვე ბიზნესის მიმართულების ძირითად საკითხებს, როგორცაა: მარაგების მართვა/აღრიცხვა, სასაწყობო მომსახურებები, გრანსპორტირება და საწარმო/საწყობების გეოგრაფიულ განაწილება.

MBA OM სადიპლომო პროექტი

პრერეკვიზიტი: არ აქვს

სადიპლომო პროექტზე სტუდენტი მუშაობს ინდივიდუალურად, ხელმძღვანელის მეთვალყურეობის ქვეშ. სტუდენტი ვალდებულია დაასრულოს პროექტზე მუშაობა დადგენილ ვადაში და წარმოადგინოს სადიპლომო პროექტი, როგორც სადიპლომო ნაშრომის, ასევე პრემენგაციის სახით. პროექტი შესაძლოა იყოს შემდეგი ტიპის:

- კომპანიის ღირებულების შეფასება;
- მარკეტინგული კვლევა;
- ახალი პროდუქტის დანერგვა;
- ბიზნესის გეგმა;
- საინვესტიციო პროექტის შეფასება;
- ორგანიზაციის მართვის ან განვითარების პრობლემის გადაწყვეტა
- ბიზნეს ორგანიზაციის ანალიზი და სხვა.